ჟურნალისტების გამოცდილების შესწავლა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას

თეა თოფურია

მეცნიერებისა და ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა თოფურია

აბსტრაქტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს გავლენიან და მასშტაბურ სტრუქტურას. ერთის მხრივ, მისი გავლენა საზოგადოებაზე და მეორე მხრივ, უშუალოდ ინსტიტუცია სულ უფრო მეტად ხდება ინტერესისა და შესწავლის, ასევე მონიტორინგის საგანი, თუმცა ეკლესიის მიმართ ინტერესის პარალელურად იკვეთება უამრავი პრობლემა, რომელსაც მედიის წარმომადგენელები ეკლესიასთან ურთიერთობისას აწყდებიან, რაც თავის მხრივ საზოგადოების ინფორმირებულობაზე აისახება.

კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში არსებული მედია გარემო, თუ რა პრობლემები ხვდებათ ჟურნალისტებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ასოცირებული თემების გაშუქებისას.

საკითხი აქტუალურია იმ კუთხით, რომ გაირკვეს რამდენად ახერხებს ქართული მედია მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული თემების სრულფასოვნად და ობიექტურად გაშუქებას და საზოგადოებამდე მიტანას; რა არის ის კონკრეტული პრობლემები, რომელიც ქართულ მედიას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სრულფასოვნად თანამშრომლობაში უშლის ხელს.

კვლევის მეთოდად არჩეულია თვისობრივი კვლევა კონტენტ-ანალიზით. გამოიკითხა საქართვლოს სხვადასხვა მედია ორგანიზაციების 20 წარმომადგენელი. რის შემდეგაც გაკეთდა მასალის შინაარსისა და ტექნიკური მახასიათებლების ანალიტიკური კვლევა.

საკვანძო სიტყვები: მედია, რელიგია, ინფორმაცია, ჟურნალისტი

Abstract

The Georgian Orthodox Church is an influential and large-scale system. On the one hand, its impact on society and on the other hand, the institution itself is becoming the subject of interest and study, as well as monitoring, however, along with the interest in the church, there are many problems that media representatives face in relationship with the church, which in turn affects the public awareness.

The research aims at studying the media environment in Georgia, and problems journalists face when covering topics associated with the Georgian Orthodox Church.

This issue is relevant to find out to what extent the Georgian media manages to fully and objectively cover and bring to the public the topics related to the Orthodox Church; What are the specific problems that prevent the Georgian media from proper cooperation with the Georgian Orthodox Church?

Quantitative research with content analysis has been chosen as the research method. 20 different Georgian media organization representatives were interviewed and after that, an analytical study of the content and technical characteristics of the material was performed.

Key words: Media, Religion, Information, Journalist